უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა- ენერგომენეჯმენტი

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ენერგომენეჯმენტში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომელთაც აქვთ ქართული ენის კომპეტენცია - 116 კრედიტი
- იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომელთაც არა აქვთ ქართული ენის კომპეტენცია- 146 კრედიტი

სწავლების მიზანი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აღწეროს და გამოიყენოს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ტექნიკური ნორმები
2. გააანალიზოს და შეაფასოს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ობიექტების საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების ენერგოეფექტურობა
3. განსაზღვროს შენობების ენერგოეფექტურობა
4. შეაფასოს ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობები და ეფექტიანობა
5. უზრუნველყოს ენერგიის სამომხმარებლო მოთხოვნილების მართვა
6. გააანალიზოს და შეაფასოს სამიზნე ჯგუფების ინტერესები და საჭიროებები

დასაქმების შესაძლებლობები:

- ენერგოეფექტურობის კანონმდებლობის მოთხოვნების აღსრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ საერთაშორისო, ცენტრალურ ან ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სააგენტოებში;
- ენერგიის მწარმოებელ, გადამცემ და გამანაწილებელ ენერგეტიკულ კომპანიებში;
- ნებისმიერი ტიპის ენერგიის მომხმარებელ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საწარმოებში;
- საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებში;
- დამოუკიდებელ აუდიტორებად და ინსპექტორებად;
- კვლევით ორგანიზაციებში, სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ინსტიტუტებში, რომლებიც ორიენტირებულები არიან: ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებაზე;
- ენერგოეფექტურობის სპეციალისტების მომზადებაზე და გადამზადებაზე, როგორც მენტორები, ინსტრუქტორები ან ტექნიკური ექსპერტები